

შპს საზოგადოებრივი  
კოლეჯი ამაგი

პროფესიული საგანმანათლებლო  
პროგრამების შეფასების შედეგები

2022  
წელი

# შინაარსი

- შესავალი
- მიზანი და ამოცანები
- შეზღუდვები
- შედეგები(თითოეული პროგრამისთვის)
- დასკვნა(თითოეული პროგრამისთვის)
- რეკომენდაციები(თითოეული პროგრამისთვის)
- შეჯამება

# შესავალი

- წინამდებარე დოკუმენტის შემუშავება მოხდა შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების საფუძველზე;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების თანახმად კოლეჯში მიმდინარე უმნიშვნელოვანესი პროცესია საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება;
- დოკუმენტი წარმოადგენს კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების შედეგებს. შეფასების პროცესი ციკლური ხასიათისაა. კოლეჯში ხორციელდება მონაცემების გაწერილი პერიოდულობით შეგროვება და შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება პროგრამების მუდმივი განვითარება (რაც გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამებში შეფასების შედეგად გამოვლენილი საჭირო ცვლილებების განხორციელებას: სწავლების მეთოდების, შეფასების სისტემის, გამოყენებული ლიტერატურის, სწავლის შედეგების და ა.შ. მოდიფიცირებას).

# ასევე:

ანალიზის პროცესში გამოყენებულია kirkpatrick-ის 4-დონიანი შეფასების მოდელი და შემდეგი დოკუმენტები:

- პროფესიული სტუდენტების კვლევის შედეგები;
- პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვლევის შედეგები;
- პრაქტიკის განმნახორციელებელი პირების გამოკითხვის შედეგები;
- მატერიალური რესურსის მონიტორინგის შედეგები;
- საბიბლიოთეკო და სასწავლო რესურსის მონიტორინგის შედეგები;
- პროგრამების ხელმძღვანელებისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლების შუალედური ანგარიშები;

# მიზანი/ამოცანები

დოკუმენტის მიზანია შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ამაგის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება.

## ამისათვის გაანალიზდა:

- საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს თუ არა პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
- თითოეული პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს თუ არა საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
- საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტორნული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით;
- პროგრამებში ჩართული პრაქტიკის ინსტრუქტორთა მიდგომები;
- პროგრამების სასწავლო გეგმის მოქნოლობა წინაპირობების დაცვის გათვალისწინებით;
- სასწავლო პროცესი, კერძოდ სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობა;
- კოლეჯში არსებული შეფასების სისტემა;

# შეზღუდვები

- გარკვეული საკითხების დაზუსტებისთვის, კოლეჯში არსებული კვლევების შედეგების გარდა, დამატებით ჩატარდა პროფესიული განათლების მასწავლებლების და პროგრამების ხელმძღვანელების ინტერვიუება;
- შედეგები მოცემულია პროგრამების მიხედვით, თუმცა შესაძლებელია მეორდებოდეს ზოგადი ხასიათის ინფორმაცია;

# საექონო განათლება

2022 წ

## 1. მატერიალური საგანმანათლებლო რესურსი

- კოლეჯის ბაზა უზრუნველყოფილია მოდულისთვის საჭირო მატერიალური რესურსით (მაგიდა /სკამი/კომპიუტერი/დემონსტაციის საშუალებები /თვალსაჩინოებანი /მულიაჟი და სხა);
- პროგრამის განხორციელების მიზნით კოლეჯს დადებული აქვს ხელშეკრულება პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებთან, რომლებიც სრულად იღებენ პასუხისმგებლობას, რომ პრაქტიკული მოდულის განხორციელების ფარგლებში მასალა ნედლეულით უზრუნველყოფილი იყოს თითოეული პროფესიული სტუდენტი.
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების შესაბამისად მუდმივად ხორციელდება პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკული კომპონენტისა და სასწავლო მასალის შეფასება .
- კვლევების გაანალიზების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო-მატერიალური და სასწავლო მასალა-ნედლეულით სრულად არის უზრუნველყოფილი თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის პრაქტიკის ობიექტზე.



## 2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა

პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუს შედეგად და სასწავლო დატვირთვის გაანალიზების შედეგად დადგინდა შემდეგი:

- საექთნო განათლების პროფესიულ პროგრამას ჰყავს 21 პროგრამის განმახორციელებელი პირი, მოდულზე მინიმუმ ერთი განმახორციელებელი პირი.
- პრაქტიკის ობიექტები ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფილია მოდულის ფარგლებში მინიმუმ ერთ ინსტრუქტორი პროფესიული პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნით.

### 3. საბიბლიოთეკო და სასწავლო რესურსი

- საბიბლიოთეკო და სასწავლო რესურსის მონიტორინგის შედეგების ანალიზმა აჩვენა ახალი სასწავლო რესურსის დამატების საჭიროება;
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით გამოიყო შესაბამისი თანხა და დღეისათვის შეივსო და განახლდა საბიბლიოთეკო რესურსი.
- ელექტრონული სასწავლო რესურსი პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდათ google classroom პლათფორმის საშუალებით და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისათვის.

## 4. პრაქტიკის ობიექტი

პრაქტიკის განმახორციელებელ პირთა გამოკითხვამ აჩვენა შემდეგი:

- პრაქტიკის ინსტრუქტორთა განცხადებით საჭიროა სასწავლო დაწესებულებიდან მიდიოდეს გადანაწილების სქემა რომელ ინსტრუქტორს, რომელი სტუდენტი აბარია.
- პრაქტიკის ინსტრუქტორები (ობიექტზე მთავარი ექთნები) პროფესიულ სტუდენტებს აცნობენ შინაგანაწესს და ეთიკის ნორმებს ,ამის შემდგომ ისინი ანაწილებენ სტუდენტებს მათ დაქვემდებარებულ განყოფილებაში მყოფ ექთნებზე.

სასწავლო პროცესთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა შემდეგი:

- საექთნო განათლების პროფესიული პროგრამა მოიცავს პრაქტიკის ობიექტზე განხორციელებულ მოდულებს, რომელშიც გათვალისწინებულია ერთზე მეტი პრაქტიკის განმახორციელებელი ობიექტი
- შედგა დამატებითი დამხმარე ცხრილი, სადაც დეტალურად გაიწერა თეორიული სწავლების ჩატარების საათები პროფესიული მასწავლებლის სახელი გვარი დატვირთვის შესაბამისად,პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარების ადგილი საათები და ინსტრუქტორების ხელშეკრულების შესაბამისად. აღნიშნული ცხრილი ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მოქნილად წარმართვაში.

## 5. სასწავლო გეგმა

სასწავლო პროცესთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუმ გამოავლინა შემდეგი:

- სასწავლო გეგმაში დატვირთვა გადანაწილდა სწავლის შედეგის დადასტურების საათების გათვალისწინებით.
- გათვალისწინებულია მოდულის განხორციელების დაწყება მინიმუმ სამი კვირის შუალედის წინაპირობის დაცვით.

## 6. სწავლების თანამედროვე მიდგომები

- ჩატარდა 10 ტრენინგი/ვებინარი როგორც დარგის, ასევე ზოგადად საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის განმახორციელებელი პირებისათვის.
- ჩატარდა პროფესიული განათლების მასწავლებლების ტრენინგი „ინტერნეტის გამოყენება და Google სერვისები“ და გადამზადდა 7 პროფესიული განათლების მასწავლებელი.

## 7. შეფასების სისტემა

- საექთნო განათლების პროფესიულ პროგრამაზე ჩატარდა ვერიფიკაცია; 2022 წლის 26 მაისის ვერიფიკაციის დასკვნამ აჩვენა შემდეგი: ვალიდაციის დროს დაშვებული ტექნიკური ხარვეზები;

# დასკვნა

- პროგრამა კარგად დაბალანსებულია;
- პროფესიულ პროგრამის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია წინაპირობები
- პროგრამას ჰყავს კმაყოფილი სტუდენტები
- პროგრამა საჭიროებს მდგრადობის მიზნით ადამიანური რესურსის დამატებას;
- პროგრამა უზრუნველყოფილია სასწავლო და მატერიალური რესურსით;
- სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის შესაბამისად;
- პრაქტიკის ობიექტიდან გამოყოფილი პრაქტიკის ინსტრუქტორების მიდგომა ჩარჩო დოკუმენტის 1/7 შესაბამისია
- ვალიდაცია მიმდინარეობს ტექნიკური ხარვეზებით.

# რეკომენდაციები

- პრაქტიკის ობიექტებმა ხელშეკრულების საფუძველზე კოლეჯს მიაწოდონ დამატებითი დოკუმენტაცია.
- საჭიროა გადამზადდეს ვალიდატორები, რათა აღმოიფხვრას შეფასების ინსტრუმენტებში არსებული ხარვეზები.
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა საექთნო განათლების მდგრადობისათვის საჭიროა გამოცხადდეს კონკურსი შემდეგ მოდულებზე:

კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები და ანესთეზია
ინფექციის კონტროლის საფუძვლები
დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში
დოზირების პრინციპები საექთნო საქმეში
ქართული ენა A2/ქართული ენა B1
გადაუდებელი პაციენტის საექთნო მართვის საფუძვლები



# ვეტერინარია

2022 წ

## 1. მატერიალური საგანმანათლებლო რესურსი

- კოლეჯის ბაზაზე უზრუნველყოფილია ვეტერინარიის პროფესიული სტუდენტებისათვის მოდულის შესაბამისად საჭირო მატერიალური რესურსი (მაგიდა /სკამი/კომპიუტერი/დემონსტაციის საშუალებები /თვალსაჩინოებანი და სხა)
- ვეტერინარიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით კოლეჯს დადებული აქ ხელშეკრულება პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებთან რომლებიც სრულად იღებენ პასუხისმგებლობას მოდულის ფარგლებში მასალა ნედლეულით უზრუნველყონ თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის.
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების შესაბამისად მუდმივად ხორციელდება პრაქტიკის განხორციელების შეფასება .
- კვლევების გაანალიზების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო-მატერიალური და სასწავლო მასალა-ნედლეულით სრულად არის უზრუნველყოფილი თითოეული პროფესიული სტუდენტი პრაქტიკის ობიექტზე.

## 2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა

პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუების შედეგად და სასწავლო დატვირთვის გადახედვა გაანალიზების შედეგად დადგინდა შემდეგი:

- ვეტერინარია პროფესიულ პროგრამას ჰყავს 23 პროგრამის განმახორციელებელი პირი, მოდულზე მინიმუმ ორი განმახორციელებელი პირი.
- პრაქტიკის ობიექტები ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფენ მოდულის ფარგლებში მინიმუმ ერთ ინსტრუქტორს პროფესიული პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნით.

### 3. საბიბლიოთეკო და სასწავლო რესურსი

- საბიბლიოთეკო და სასწავლო რესურსის მონიტორინგის შედეგების ანალიზმა აჩვენა ,რომ საბიბლიოთეკო სასწავლო რესურსი აკმაყოფილებს მოდულის მოთხოვნებს.
- ელექტრონული მატერიალური რესურსი პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდათ google classroom პლატფორმის საშუალებით და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისათვის.

## 4. პრაქტიკის ობიექტი

სასწავლო პროცესთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა შემდეგი:

- ვეტერინარიის პროფესიული პროგრამა დაბალანსებულია, კერძოდ მოიცავს ისეთ მოდულებს რომელშიც გათვალისწინებულია როგორც თეორიული სწავლება ასევე პრაქტიკული მეცადინეობა.
- შედგა დამატებითი დამხმარე ცხრილი, სადაც დეტალურად გაიწერა თეორიული სწავლების ჩატარების საათები პროფესიული მასწავლებლის სახელი გვარი დატვირთვის შესაბამისად და ასევე პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარების ადგილი საათები და ინსტრუქტორების ხელშეკრულების შესაბამისად. აღნიშნული ცხრილი ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მოქნილად წარმართვას.

## 5. სასწავლო გეგმა

სასწავლო პროცესთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუმ გამოავლინა შემდეგი:

- სასწავლო გეგმაში დატვირთვა გადანაწილებულია სწავლის შედეგის დადასტურების საათების გათვალისწინებით.
- გათვალისწინებულია მოდულის განხორციელების დაწყება მინიმუმ სამი კვირის შუალედის წინაპირობის დაცვით;
- სასწავლო გეგმაში გამოიკვეთა სხვადასხვა ფერით თეორიული და პრაქტიკის ობიექტზე ჩასატარებელი საათები, რათა სასწავლო პროცესის წარმატვა გამარტივდეს.

## 6. სწავლების თანამედროვე მიდგომები

- პროგრამის განვითარების მიზნით კოლეჯმა მიიღო მონაწილეობა საგრანტო კონკურსში და მოიპოვა ვეტერინარული ექოსკოპიის აპარატი.
- ასევე პროექტის ფარგლებში შეძენილ იქნა მოდულის ვეტერინარული მეანობა და გინეკოლოგიის სწავლებისათვისათვის თანამედროვე მატერიალური რესურსი.
- ჩატარდა 10 ტრენინგი/ვებინარი როგორც დარგის ასევე ზოგადად საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის განმახორციელებელი პირებისათვის .
- ჩატარდა პროფესიული განათლების მასწავლებლების ტრენინგი „ინტერნეტის გამოყენება და Google სერვისები“ და გადამზადდა 6 მასწავლებელი

## 7. შეფასების სისტემა

- ვეტერინარიის პროფესიულ პროგრამაზე ჩატარდა ვერიფიკაცია;
- 2022 წლის 22 მარტის ვერიფიკაციის დასკვნამ აჩვენა შემდეგი:  
ვალიდაციის დროს დაშვებულია ტექნიკური ხარვეზები



# დასკვნა

- პროგრამა კარგად დაბალანსებულია;
- პროფესიულ პროგრამის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია წინაპირობები
- პროგრამას ჰყავს კმაყოფილი სტუდენტები
- პროგრამა შრომის ბაზარზე მოთხოვნადია და პროფესიული სტუდენტები სწავლის პარარელულ რეჟიმში თვითთასაქმებულები არიან ;
- პროგრამა უზრუნველყოფილია სასწავლო, ადამიანური და მატერიალური რესურსით;
- სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის შესაბამისად;
- ვალიდაცია მიმდინარეობს ტექნიკური ხარვეზებით.

# რეკომენდაციები

- 2023 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ იქნას ექოსკოპიის აპარატის გამოყენებაზე პასუხისმგებელი პირის გადამზადების თანხა;
- საჭიროა გადამზადდეს ვალიდატორები, რათა აღმოიფხვრას შეფასების ინსტრუმენტებში არსებული ხარვეზები.
- რეკომენდირებულია ახალი პარტნიორი ორგანიზაციების ჩართვა პრაქტიკული უნარების გამომუშავების მიმართულებით.

# ფარმაცია(სააფთიაქო)

2022 წ

## 1. მატერიალური საგანმანათლებლო რესურსი

- კოლეჯის ბაზაზე უზრუნველყოფილია ფარმაცია (სააფთიაქო) პროფესიული სტუდენტებისათვის მოდულის შესაბამისად საჭირო მატერიალური რესურსით (მაგიდა /სკამი/კომპიუტერი/დემონსტაციის საშუალებები /თვალსაჩინოებანი და სხა);
- კოლეჯის ბაზაზე პროფესიულ სტუდენტებს შესაძლებლობა ეძლევათ ისარგებლონ ორის C გარემოს მატერიალური რესურსით, სადაც გამოუმუშავდებათ პრაქტიკული უნარ ჩვევები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულების შესაბამისად მუდმივად ხორციელდება კმაყოფილების კვლევის შედეგების ანალიზი, როგორც პროფესიული სტუდენტების მხრიდან, ასევე პროფესიული მასწავლებლების მხრიდან.
- კვლევების განალიზების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო-მატერიალური და სასწავლო მასალა-ნედლეული სრულად არის უზრუნველყოფილი თითოეული პროფესიული სტუდენტისათვის.

## 2. პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა

პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუების შედეგად და სასწავლო დატვირთვის გადახედვა გაანალიზების შედეგად დადგინდა შემდეგი:

- ფარმაცია(სააფთიაქო) პროფესიულ პროგრამას ჰყავს 24 პროგრამის განმახორციელებელი პირი, მოდულზე მინიმუმ ორი განმახორციელებელი პირი.
- პრაქტიკის ობიექტები ხელშეკრულების საფუძველზე უზრუნველყოფილია მოდულის ფარგლებში მინიმუმ ერთ ინსტრუქტორს პროფესიული პროგრამის მოდულის განხორციელების მიზნით.

### 3. საბიბლიოთეკო და სასწავლო რესურსი

- საბიბლიოთეკო და სასწავლო რესურსის მონიტორინგის შედეგების ანალიზმა აჩვენა ახალი სასწავლო რესურსის დამატების საჭიროება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ფარმაცია (სააფთიაქო);
- კოლეჯის დირექტორის ბრძანებით გამოიყო შესაბამისი თანხა და დღეისათვის შეივსო და განახლდა საბიბლიოთეკო რესურსი;
- ელექტრონული სასწავლო რესურსი პროფესიულ სტუდენტებს მიეწოდათ google classroom პლათფორმის საშუალებით და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისათვის;

## 4. პრაქტიკის ობიექტი

სასწავლო პროცესთან ინტერვიუს შედეგად გამოვლინდა შემდეგი:

- ფარმაცია (სააფტიაქო) პროფესიული პროგრამა მოიცავს ისეთ მოდულებს, რომელშიც გათვალისწინებულია როგორც თეორიული სწავლება, ასევე პრაქტიკული მეცადინეობა;
- შედგა დამატებითი დამხმარე ცხრილი, სადაც დეტალურად გაიწერა თეორიული სწავლების ჩატარების საათები პროფესიული მასწავლებლის სახელი გვარი დატვირთვის შესაბამისად და ასევე პრაქტიკული მეცადინეობის ჩატარების ადგილი საათები და ინსტრუქტორების ხელშეკრულების შესაბამისად;
- აღნიშნული ცხრილი ხელს უწყობს სასწავლო პროცესის მოქნილად წარმართვას.

## 5. სასწავლო გეგმა

სასწავლო პროცესთან და პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებულმა ინტერვიუმ გამოავლინა შემდეგი:

- სასწავლო გეგმაში დატვირთვა გადანაწილებულია სწავლის შედეგის დადასტურების საათების გათვალისწინებით;
- გათვალისწინებულია მოდულის განხორციელების დაწყება მინიმუმ სამი კვირის შუალედის წინაპირობის დაცვით;
- სასწავლო გეგმაში გამოიკვეთა სხვადასხვა ფერით თეორიული და პრაქტიკის ობიექტზე ჩასატარებელი საათები, რათა სასწავლო პროცესის დროს გამარტივდეს მართვა.



## 6. სწავლების თანამედროვე მიდგომები

- ჩატარდა 10 ტრენინგი/ვებინარი როგორც დარგის, ასევე ზოგადად საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის განმახორციელებელი პირებისათვის.
- ჩატარდა პროფესიული განათლების მასწავლებლების ტრენინგი „ინტერნეტის გამოყენება და Google სერვისები“ და გადამზადდა 10 მასწავლებელი.

## 7. შეფასების სისტემა

- ფარმაცია(სააფთიაქო) პროფესიულ პროგრამაზე ჩატარდა ვერიფიკაცია.
- 2022 წლის 24 ივნისის ვერიფიკაციის დასკვნამ აჩვენა რომ, ვალიდაციის დროს დაშვებულია ტექნიკური ხარვეზები

# დასკვნა

- პროგრამა კარგად დაბალანსებულია;
- პროფესიულ პროგრამის სასწავლო გეგმაში გათვალისწინებულია წინაპირობები და ლოგიკური წინაპირობები;
- პროგრამას ჰყავს კმაყოფილი სტუდენტები
- პროგრამას აქვს დასაქმების მაღალი მაჩვენებელი ;
- პროგრამა უზრუნველყოფილია სასწავლო, ადამიანური და მატერიალური რესურსით;
- სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასწავლო გეგმის შესაბამისად;
- ვალიდაცია მიმდინარეობს ტექნიკური ხარვეზებით.

# რეკომენდაციები

- საჭიროა გადამზადდეს ვალიდატორები, რათა აღმოიფხვრას შეფასების ინსტრუმენტებში არსებული ხარვეზები.
- სასურველია გამოიყოს C სასწავლო გარემოზე პასუხისმგებელი პირი და ასევე ის პირი, ვინც მას შეცვლის საჭიროების შემთხვევაში.

# შეჯამება

- საბოლოო სახით უნდა ითქვას, რომ კოლეჯში არსებული საგანმანათლებლო რესურსი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას; დასტურდება კურსდამთავარებულთა და დასაქმების 75 % მაჩვენებლით
- პროგრამის სასწავლო გეგმა ითვალისწინებს მოდულის წინაპირობებს;
- თითოეული პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა საერთო ჯამში უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
- საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტორნული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით;
- კოლეჯი მუდმივად ზრუნავს პრაქტიკის ინსტრუქტორების გადამზადებაზე;
- კოლეჯი ხელს უწყობს პროფესიული განათლების მასწავლებლების პროფესიულ განვითარებას და სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას.
- ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ხელს უწყობს არსებული შეფასების სისტემის, კერძოდ ვალიდაცია-ვერიფიკაციის სისტემის დახვეწას.
- შესამჩნევია, რომ კოლეჯში ყალიბდება ხარისხის კულტურა, რასაც ცხადყოფს კვლევებში პერსონალისა და სტუდენტების ჩართულობა და მათგან მიღებული უკუკავშირი, ასევე მატერიალური რესურსის მუდმივი მონიტორინგი.
- კოლეჯში პერმანენტულად ხდება კვლევის შედეგების გაანალიზება პროგრამების შეფასების და განვითარების მიზნით;
- რეკომენდირებულია პროგრამების შეფასება მოხდეს ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ და დინამიკაში მოხდეს შედეგების დადარება.